ბრძანება № 188431

შპს "მაგთიკომის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტა) ცვლილებების და დამატებების შესახებ

ქ.თბილისი 15 დეკემბერი 2010 წ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიცვალოს შპს "მაგთიკომის" ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) მე-3 მუხლი (თან ერთვის).
2. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

გენერალური დირექტორის
პირველი მოადგილე

გია კოშორიძე

ცვლილები და დამატებები მოძრავი და ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის

შპს „მაგთიკომის“

ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებაში (მოწვევის ოფერტა)

ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების 2010 წლის 1 აგვისტოს მოწვევის ოფერტაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1) მე–3 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) ტარიფები

- მობილურ ქსელში: 8 99, 8 98, 8 96, 8 95, 8 91, 8 51

ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/ დასრულება) ტარიფი - 8 (რვა) თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

- ფიქსირებულ უსადენო ქსელში: საქართველოს ტერიტორია – 8 90;

ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფი - 2 (ორი) თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით

- ფიქსირებულ სადენიან ქსელში:

თბილისი - 26XXXX, 170XXX-177XXX, 44XXXX; ქუთაისი - 8231 10XXX.

ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) ტარიფი - 4 (ოთხი) თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

- ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე - 1 (ერთი) თეთრი/წთ დღგ-ს ჩათვლით.

ურთიერთჩართვის წერტილამდე E1 არხის ორგანიზების საფასური შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) ლარს, დღგ–ს ჩართვლით, ხოლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.